

შპს „კახური ღვინის მარანი“
ფინანსური ანგარიშგება
2024 წელი

ფინანსური მდგომარეობის უწყისი					
	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023	12/31/2022	
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	1	12,897,805	4,274,485	3,442,338	
მრავალწლიანი ნარავები		1,831,620	1,831,620	1,831,620	
გაცემული გრძელვადიანი სესხი		3,000,000			
		17,729,425	6,106,105	5,273,958	
მოკლევადიანი აქტივები					
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2	10,674	143,773	59,684	
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3	325,893	987,589	982,458	
მარაგები	4	19,207,532	18,405,667	16,766,164	
გადახდილი ავანსები	5	5,874,000	4,715,150	172,761	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		528,060	494,800	6	
		25,946,158	24,746,979	17,981,073	
მთლიანი აქტივები		43,675,583	30,853,084	23,255,031	
მთლიანი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი					
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		34,537,527	27,298,130	15,866,271	
გადაფასების რეზერვი		1,173,715	1,173,715		
		35,711,242	28,471,845	15,866,271	
ვალდებულებები					
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გრძელვადიანი სესხები	8	159,074	140,717	825,552	
ანარიცხები					
		159,074	140,717	825,552	
მოკლევადიანი ვალდებულებები					
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	7	7,591,671	1,293,021	3,180,671	
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	210,044	790,555	460,863	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		3,551	156,947	116,851	
მიღებული ავანსი				2,804,824	
		7,805,267	2,240,523	6,563,209	
მთლიანი ვალდებულებები		7,964,341	2,381,239	7,388,760	
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		43,675,583	30,853,084	23,255,032	

ნუგზარ ქევხიშვილი

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის უწყისი				
	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	12,897,805	4,274,485	3,442,338
მრავალწლიანი წარავები		1,831,620	1,831,620	1,831,620
გაცემული გრძელვადიანი სესხი		3,000,000		
		17,729,425	6,106,105	5,273,958
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტ	2	10,674	143,773	59,684
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3	325,893	987,589	982,458
მარაგები	4	19,207,532	18,405,667	16,766,164
გადახდილი ავანსები	5	5,874,000	4,715,150	172,761
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		528,060	494,800	6
		25,946,158	24,746,979	17,981,073
მთლიანი აქტივები		43,675,583	30,853,084	23,255,031
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		34,537,527	27,298,130	15,866,271
გადაფასების რეზერვი		1,173,715	1,173,715	
		35,711,242	28,471,845	15,866,271
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	8	159,074	140,717	825,552
ანარიცხები				
		159,074	140,717	825,552
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	7	7,591,671	1,293,021	3,180,671
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	210,044	790,555	460,863
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		3,551	156,947	116,851
მიღებული ავანსი				2,804,824
		7,805,267	2,240,523	6,563,209
მთლიანი ვალდებულებები		7,964,341	2,381,239	7,388,760
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		43,675,583	30,853,084	23,255,032

ნუგზარ ქვეხიშვილი

დირექტორი

შპს „კახური ღვინის მარანი“

205219994

ს/კ 205201994

მოგება - ზარალის ანგარიშგება			
	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი	9	19,781,746	25,342,470
რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება		(7,571,891)	(13,018,804)
საერთო მოგება		12,209,855	12,323,666
სხვა შემოსავლები		893,195	631,426
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(2,089,757)	(447,271)
მიწოდების დანახარჯები		(179,506)	(201,050)
ხელფასის ხარჯი		(997,424)	(333,208)
ამორტიზაცია		(982,709)	(774,174)
სხვა ხარჯები		(1,710,309)	(86,179)
საოპერაციო მოგება		7,143,345	11,113,210
საკურსო სხვაობა		100,694	340,076
ფინანსური ხარჯი		(4, 642)	(21, 428)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		96,052	318,648
მოგება დაბეგვრამდე		7,239,397	11,431,858
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		7,239,397	11,431,858
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			1,173,715
მთლიანი სრული შემოსავალი		7,239,397	12,605,573

ნუგზარ ქევხიშვილი

დირექტორი

მოგება - ზარალის ანგარიშგება			
	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი	9	19,781,746	25,342,470
რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება		(7,571,891)	(13,018,804)
საერთო მოგება		12,209,855	12,323,666
სხვა შემოსავლები		893,195	631,426
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		-	(447,271)
მიწოდების დანახარჯები		(179,506)	(201,050)
ხელფასის ხარჯი		-	(333,208)
ამორტიზაცია		(2,190)	(774,174)
სხვა ხარჯები		(1,710,309)	(86,179)
საოპერაციო მოგება		11,211,045	11,113,210
საკურსო სხვაობა		100,694	340,076
ფინანსური ხარჯი		(4, 642)	(21, 428)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		96,052	318,648
მოგება დაბეგვრამდე		11,307,097	11,431,858
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		11,307,097	11,431,858
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა შიშისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			1,173,715
მთლიანი სრული შემოსავალი		11,307,097	12,605,573

ნუგზარ ქევხიშვილი

ს/კ 205201994

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	15,866,271	15,866,271
წმინდა მოგება	-	1,173,715	11,431,858	12,605,573
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1,173,715	11,431,858	12,605,573
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	1,173,715	27,298,129	28,471,844
წმინდა მოგება	-	-	7,239,397	7,239,397
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	7,239,397	7,239,397
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	1,173,715	34,537,526	35,711,241

ნუგზარ ქეცხიშვილი

დირექტორი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	15,866,271	15,866,271
წმინდა მოგება	-	1,173,715	11,431,858	12,605,573
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1,173,715	11,431,858	12,605,573
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	1,173,715	27,298,129	28,471,844
წმინდა მოგება	-	-	7,239,397	7,239,397
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	7,239,397	7,239,397
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	1,173,715	34,537,526	35,711,241

ნუგზარ ქვეხიშვილი



დირექტორი



ფულადი ნაკადის მოძრაობის უწყისი			
(პირდაპირი მეთოდი)			
		2024 წელი	2023 წელი
ფული პერიოდის დასაწყისში		143,778.13	59,684.13
საოპერაციო საქმიანობა		9,164,604.36	2,517,775.00
	მყიდველებიდან შემოსული ფული	31,181,746.00	25,337,465.00
	მომწოდებლებზე გადახდილი ფული	- 15,690,875.00	- 14,744,032.00
	გაცემული ხელფასი	- 997,423.64	- 406,321.00
	გადახდილი გადასახადი	- 92,365.00	- 62,112.00
	სხვა ხარჯები	- 5,236,478.00	- 7,607,225.00
საინვესტიციო საქმიანობა		- 12,606,028.92	- 1,606,321.00
	შეძენილი ძირითადი საშუალებები	- 9,606,028.92	- 1,606,321.00
	შემოსავალი გაყიდული ძირითადი საშუალებებიდან		
	გაცემული სესხი	- 3,000,000.00	
ფინანსური საქმიანობა		3,308,320.00	- 827,360.00
	აღებული სესხი	4,500,000.00	288,094.00
	დაბრუნებული სესხი	- 1,191,680.00	- 947,629.00
	გადახდილი პროცენტები		- 167,825.00
	sakurso sxvaoba		
ფულის მოძრაობა პერიოდის განმავლობაში		(133,104.56)	84,094.00
ფული პერიოდის ბოლოს		10,674	143,778

ნუგზარ ქევხიშვილი

დირექტორი

ფულადი ნაკადის მოძრაობის უწყისი (პირდაპირი მეთოდი)		
	2024 წელი	2023 წელი
ფული პერიოდის დასაწყისში	143,778.13	59,684.13
საოპერაციო საქმიანობა	9,164,604.36	2,517,775.00
მყიდველებიდან შემოსული ფული	31,181,746.00	25,337,465.00
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	- 15,690,875.00	- 14,744,032.00
გაცემული ხელფასი	- 997,423.64	- 406,321.00
გადახდილი გადასახადი	- 92,365.00	- 62,112.00
სხვა ხარჯები	- 5,236,478.00	- 7,607,225.00
საინვესტიციო საქმიანობა	- 12,606,028.92	- 1,606,321.00
შეძენილი ძირითადი საშუალებები	- 9,606,028.92	- 1,606,321.00
შემოსავალი გაყიდული ძირითადი საშუალებებიდან		
გაცემული სესხი	- 3,000,000.00	
ფინანსური საქმიანობა	3,308,320.00	- 827,360.00
აღებული სესხი	4,500,000.00	288,094.00
დაბრუნებული სესხი	- 1,191,680.00	- 947,629.00
გადახდილი პროცენტები		- 167,825.00
sakurso sxvaoba		
ფულის მოძრაობა პერიოდის განმავლობაში	(133,104.56)	84,094.00
ფული პერიოდის ბოლოს	10,673.57	143,778.13

ნუგზარ ქვებიშვილი

დირექტორი



1. ზოგადი ინფორმაცია

1. ზოგადი ინფორმაცია

1. შპს „კახური ღვინის მარანი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 2007 წლის 30 აგვისტოს.

კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ქ., № 171.

კომპანიას საკუთარ 95 ჰა ვენახზე მოყავს ყურძენი, ასევე ახორციელებს ყურძნის შესყიდვას გლეხებისგან; აწარმოებს ღვინოსა და სხვა ალკოჰოლურ პროდუქციას (ჭაჭა, ბრენდი) და ახდენს მის რეალიზაციას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2025 1 იანვრის მდგომარეობით, შპს "კახური ღვინის მარანი"-ს 100 %-იანი წილის მფლობელი იყო ფიზიკური პირი ნუგზარ ქევხიშვილი.

ამავე პერიოდში კომპანიის დირექტორი იყო ----- ნუგზარ ქევხიშვილი

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, შემდგომში მსს სტანდარტის შესაბამისად. და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ძირითად საშუალებებზე კლასიფიცირებული შენობების სხვა სამედიცინო აპარატურის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამე მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან

გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

ჯგუფის მოქმედი ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად.

საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

ამონაგების (შემოსავლის) აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა ხდება კლიენტისთვის საქონლის მიწოდება და საკუთრების უფლების გადაცემა. შემოსავალი არის საქონლის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად, დღგ).

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ფინანსური აქტივები

მსს სტანდარტის 11 განყოფილების შესაბამისად, ფინანსური აქტივები შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას. კომპანიას არ აქვს გასაყიდად გამიზნული ან სამართლიანი ღირებულებით აღიარებული და მოგებაში ან ზარალში აღიარებული ფინანსური აქტივები. ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შეძენის ან წარმოშობის მიზანზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური

მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი

შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად.

აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში. თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი შემობრუნების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას შემობრუნების თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს ერთგვარი გარანტიის ფორმა გადაცემულ აქტივზე, რომელიც ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი და ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა	(წელი)
შენობები და ნაგებობები	50
საწარმოო მანქანა დანადგარები	15
ლაბორატორიული მოწყობილობა	12
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	8--10
ავტომანქანა	12

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;

ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება არის ქონება, რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოხდება ქონების გასვლა ან შეწყდება გამოყენება და მოსალოდნელი აღარ იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გასვლიდან. საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა გასვლის შედეგად მიღებულ შემოსავალსა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის

ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% შემცირებადი ნაშთით) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნაღებ დანახარჯებს.

მოძველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისაგან.

პერიოდის გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში (გადახდილი დივიდენდის დროს).

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, როგორცაა ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - კომპანიას საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივები. საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „სხვა შემოსავლების“ მუხლში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განიცთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა

საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

საკუთარი კაპიტალი

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის წარსადგენი ვალუტა და კომპანიის ყველა კომპონენტის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

განმარტებები::

შენიშვნა # 1			2024 წელი				
ძირითადი საშუალებების მოძრაობა							
	მიწის ნაკვეთები	შენობები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	საწარმოო მანქანა დანადგარე ბი	ლაბორატო რიული მოწყობილო ბა	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	სულ
31 დეკემბერი 2023	1,392,000	725,695	273,165	5,293,735	401,837	697,877	8,784,310.53
შემოსვლა	5,400,000		226,836	3,801,571	177,622		9,606,028.92
გადაფასება							-
გასვლა							-
31 დეკემბერი 2024	6,792,000	725,695	500,001	9,095,306	579,459	697,877	18,390,339.45
ცვთა და გაუფასურება							-
31 დეკემბერი 2023	-	246,583	201,464	3,614,675	292,055	155,050	4,509,825.59
პერიოდის ცვთა		16,260	76,339	817,383	33,090	39,637	982,709.34
გასვლა							-
31 დეკემბერი 2024	-	262,843	277,803	4,432,058	325,145	194,687	5,492,534.93
წმინდა საბალანსო ღირებულება							-
31 დეკემბერი 2023	1,392,000	479,113	71,702	1,679,060	109,783	542,828	4,274,484.94
31 დეკემბერი 2024	6,792,000	462,853	222,199	4,663,248	254,314	503,191	12,897,804.52

შენიშვნა # 2

შენიშვნა # 2			
<u>ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები</u>			
	<u>31,12,2024</u>	<u>31,12,2023</u>	<u>31,12,2022</u>
ნაღდ ფული ეროვნულ ვალუტაში	1,460	1,575	2,220
ეროვნული ვალუტა ბანკში	8,352	13,857	55,841
უცხოური ვალუტა ბნკში	862	128,341	1,623
	<u>10,674</u>	<u>143,773</u>	<u>59,684</u>

ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაგენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები (საბანკო ანგარიშები) და მათი ეკვივალენტები - მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

შენიშვნა # 3			
<u>მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან</u>			
	<u>31,12,2024</u>	<u>31,12,2023</u>	<u>31,12,2022</u>
მოთხოვნები იწოდებიდან და მომსახურებიდან	<u>325,893</u>	<u>987,580</u>	<u>982,458</u>

ღვინის რეალიზაციიდან მისაღები თანხების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის სეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტების ანგარიშგების ამოღება. კომპანიის ფინანსური სამსახური გათვლებით, გაკოტრების რეჟიმში მოხვედრილი კომპანიებიდან თანხების ამოღება უკვე უიმედოა, რითაც შეიძნა იუმედო დებიტორების რეზერვი.

შესაბამისად ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს 2024 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით.

<u>შენიშვნა # 4</u>			
<u>მარაგები</u>			
	<u>31,12,2024</u>	<u>31,12,2023</u>	<u>31,12,2022</u>
ნედლეული და მასალები	2,466,121	3,371,904	1,646,286
დაუმთავრებელი წარმოება	16,698,201	14,858,353	15,109,528
მზა პროდუქცია (ჩამოსხმული)	43,209	78,334	10,350
	<u>19,207,532</u>	<u>18,308,591</u>	<u>16,766,164</u>

<u>შენიშვნა 5</u>	<u>31,12,2024</u>	<u>31,12,2023</u>	<u>31,12,2022</u>
<u>სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები</u>			
ანგარიშვალდებული პირი	6	-	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები	528,054	174,494	-
	528,060	174,494	-

<u>შენიშვნა # 6</u>	<u>31,12,2024</u>	<u>31,12,2023</u>	<u>31,12,2022</u>
<u>მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება</u>			
ვალდებულება მომწოდებლების მიმართ	210,044	790,555	460,863
ვალდებულება გლეხების მიმართ			
	<u>210,044</u>	<u>790,555</u>	<u>460,863</u>

შენიშვნა # 7			
<u>მიმინარე სესხების ვადებულება</u>			
	<u>31,12,2024</u>	<u>31,12,2023</u>	<u>31,12,2022</u>
მოკლევადიანი სესხები	4,601,340.69	1,293,021.28	3,180,670.55
გადასახდელი პროცენტი	2,990,330.36	3,034,273.83	-
	<u>7,591,671</u>	<u>4,327,295</u>	<u>3,180,671</u>

შენიშვნა # 8			
<u>გრძელვადიანი სესხები</u>	<u>31,12,2024</u>	<u>31,12,2023</u>	<u>31,12,2022</u>
გრძელვადიანი სესხები	<u>159,074.18</u>	<u>140,716.56</u>	<u>825,551.57</u>

შენიშვნა # 9			
<u>შემოსავალი</u>	<u>31,12,2024</u>	<u>31,12,2023</u>	<u>31,12,2022</u>
ადგილობრივი ბაზარი	30,717,475	5,068,494	1,911,628
ექსპორტი	64,271	20,273,976	8,839,455
	<u>30,781,746</u>	<u>25,342,470</u>	<u>10,751,083</u>

14 . კომპანიის კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი, გადაფასებული და სხვა რეზერვებისგან .

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;

- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ანგარიშგება მომზადებულია 15/09/2025

დირექტორი

ნუგზარ ქევხიშვილი

- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ანგარიშგება მომზადებულია 15/09/2025

დირექტორი



ნუგზარ ქევხიშვილი

